ნ. ს. ხრუშჩოვი: შემდეგშიც ჩვენ გავანადგურებთ ყველა აგრესორს, რომლებიც ხელს აღმართავენ ჩვენს წინააღმდეგ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 112 (11723)
შაბათი,
14
მაისი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის პარტიული ორგანიზაციები, ყველა კომუნისტი, ყველა მშრომელი გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ ცნობას, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მიმდინარე წლის 13 ივლისს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განიხილავს მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარების და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხს.

ეს ცნობა გამოქვეყნდა მილიონიანი მასების შემოქმედებითი ძალების, პოლიტიკური და შრომითი აქტივობის იმ უმაღლესთო აღმავლობის დღეებში, რომელიც გამოწვეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებული მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებით. სესიის მიერ მიღებულმა კანონებმა გადახადების გაუქმების შესახებ, მიმდინარე წლის ყველა მუშისა და მოსამსახურის შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის ღამთავრების შესახებ ოთახნაგა მთელ მსოფლიოს, თუ რა შესანშნავი ნაყოფი მოაქვს საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომას.

შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულების მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარების დარგში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური პროგრესის დარგში განსაკუთრებით დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ბედისათვის, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევა იმის განსახილველად, თუ როგორ მიმდინარეობს შვიდწლიდის დავალებათა შესრულება მრეწველობაში და ტრანსპორტზე, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის საქმეში. კიდევ და კიდევ ცხადყოფს კომუნისტური პარტიის უდიდეს ზრუნვას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განუხრელი განმტკიცებისათვის, ხალხის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის, მისი ცხოვრების განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის.

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო სკკპ XXI ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის განვითარების ზვიდწლიანი გეგმის უთუო შესრულება. ის ამოცანების განხორციელებას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ უახლოესი შვიდწლედისათვის დასახეს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ზვიდწლიანი გეგმის შესრულება, გეგმისა, რომლის ძირითადი მიმართულებაა ეკონომიკის მუშათა ცხოვრებიანი განვითარება და ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესება. ამასთანავე კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. გაძლიერებს მის მზადყოფნას გაბანდგურებელი ნიანაღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტი აგრესორების მიერ სოციალიზმის დიად მონაპოვართა ყოველგვარ ხელყოფას. სსრ კავშირის და სოციალიზმის ყველა ქვეყნის მუშიდოგბიანი სამეურნეო მუშეებლობის წარმატებანი კვლავ ცხადყოფენ სოციალიზმის უპირატესობებს კაპიტალიზმთან შედარებით. კიდევ უფრო გაადიდებენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების მიმზიდველ ძალას“.

ამ მითითებათა მიხედვით კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი გიგანტურ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან ზვიდწლედის დავალებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის, სისტემატურად ამოწმებენ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა განიხილა მთელი რიგი მოხსენებანი ადგილებიდან და შეიმუშავა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ ტექნიკურ პროგრესში სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი. პლენუმმა განსაზღვრა წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის, ნაკადური ხაზების შემოღების, მოძველებული მოწყობილობის, შტამპებისა და ინსტრუმენტების შეცვლის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების კონკრეტული ამოცანები. დაისახა ავრეთვე ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის განვითარების ღონისძიებანი. პლენუმის გადაწყვეტილებებმა უდიდესი როლი შეასრულეს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ზვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა შეიმუშავა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ზვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმი განიხილავს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გერასიმოვის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ხენინის, ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გაილის, კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლომაკოს, კომეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გრაფოვის, ყარაგანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბრალჩენკოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კოსტოუსო

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

საგჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებთან

(დასასრული)

ვიცხოვროთ და არა მარტო მშვიდობიანად, არამედ მეგობრულადაც! **(ტაში).**

კითხვა. შეიძლება თუ არა კვლავ ოპტიმისტი ვიყოთ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის მიმართ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩემს თავს გამოუსწორებელ ოპტიმისტთა რიცხვს ვაკუთვნებ. ამერიკის თვითმფრინავ-მზვერავის პროვოკაციული ფრენა ჩვენს ქვეყანაში მიმაჩნია არა ომისათვის მზადებად, არამედ მოსინჯვად. აი მათ „მოგვსინჯეს“, მაგრამ ჩვენ ცხვირში ამოვკარით მათ, ვინც „გვსინჯავს“. ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგიერთი მოღვაწე ახმაურდა. არა უშავს რა, იხმაურონ! საბჭოთა კავშირი ხომ გვატემალა არ არის. ჩვენში ჯარებს ვერ გამოგზავნი. ჩვენ გვაქვს საშუალებანი, რომლებიც კარგად ამშვიდებენ ბანდიტებს, თუ მათ მოისურვეს თავიანთი თავხედური ხერხები გამოიყენონ ჩვენს მიმართ. თუ ასე მოქცევიან, ამ დამამშვიდებელ საშუალებებს მიიღებენ.

კითხვა. ბატონო ხრუშჩოვ! ხომ არ შეიცვალა თქვენი აზრი პრეზიდენტ ეიზენჰაუერის შესახებ, რომელიც გამოთქვით შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მოგეხსენებათ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება თვითმფრინავ-მზვერავთან დაკავშირებით, რასაკვირველია, ცვლის ჩემს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი არაფერ შუაშია. მე არ ვიცოდი, რომ შეერთებულ შტატებში შემუშავებულია დაზვერვის ასეთი გეგმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საზვერავი ფრენის გეგმა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, რომელიც პრეზიდენტმა მოიწონა, ცხადი გახდა, რომ ამერიკის თვითმფრინავ-მზვერავების ფრენა ჩვენს ქვეყანაზე რომელიღაც უპასუხისმგებლო ოფიცრის ჭირვეულობა კი არ არის, არამედ იმ გეგმის განხორციელებაა, რომელიც შემუშავებული აქვს ალენ დალესს. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელს, ესე იგი იმ უწყების ხელმძღვანელს, რომელიც შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამგებლობაშია.

ბ-ნმა ჰერტერმა აღიარა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აამოქმედა დირექტივები ყოველგვარი საშუალებით შეაგროვონ სხვადასხვა ინფორმაცია. ამ დირექტივების საფუძველზე შემუშავებულ იქნა და განხორციელდა ის პროგრამები, რომლებიც, როგორც ჰერტერი ამბობს, შეიცავენ ჰაერიდან ვრცელ დაკვირვებას თვითმფრინავების დახმარებით და შეჭრის გზით. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამას — შეჭრის გზით, ესე იგი იმ სახელმწიფოს ტერიტორიის საზვერავი, ჯაშუშური შემოფრენით, რომელთანაც ნორმალური ურთიერთობა არსებობს. და ეს გეგმა მოიწონა პრეზიდენტმა. გაუგონარი ამბავია! და ამის შემდეგ მე უნდა ვთქვა — რა კეთილი ადამიანები ხართ! თუ ასე ჩაიდენ — ეს ნიშნავს, რომ პატივს არ სცემ საკუთარ თავს. მე ვიტყოდი, რომ ბ-ნმა ჰერტერმა ფარდა ახადა ყველაფერს, მოაცილა ყველა საღებავი, რომლებითაც თუ შეიძლება ასე ითქვას, ნიღბავდნენ და ამშვენიერებდნენ, ალამაზებდნენ შეერთებული შტატების იმპერიალისტთა პოლიტიკას. და აი მან თავისი გამოსვლით გამოამეღავნა მილიტარიზმის მხეცური სახე, რომელიც შიშის მომგვრელია. მერე რა? ახლა, გამოდის, რომ ეს სახე არავითარ შიშს არა გვგვრის. ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტების ასეთი მოქმედება გამოწვეულია მათი შთამაგონებლების არა გმირობით, არამედ სიმხდალით. საშინია არა ის, ვინც საკუთარ ნერვებს ფლობს და დარწმუნებულია საკუთარ ძალასა და შესაძლებლობაში, არამედ მხდალი, რომელსაც ყველაფრისა ეშინია.

მე ხშირად ვკითხულობ: აი, ხრუშჩოვი ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი დაიღუპება. ამიტომ ხომ არ აწყობენ საზვერავ ფრენას საბჭოთა კავშირში? მაგრამ ეს ხომ მე არ მითქვამს. არამედ მარქსმა დააასაბუთა ჯერ კიდევ ასი წლის წინათ. **(გამოცოცხლება, ტაში).** თუ ბატონ კაპიტალისტებს მიაჩნიათ, რომ მარქსი არ არის მართალი, ამან ხომ უნდა დაამშვიდოს ისინი, რატომ უნდა ნერვიულობდნენ, რატომ უნდა ეშინოდეთ?

კითხვა. იცოდნენ თუ არა თურქეთის, პაკისტანის, ნორვეგიის ხელისუფლებამ ამერიკის თვითმფრინავის პროვოკაციული ფრენის შესახებ?

ნ. ს, ხრუშჩოვი. ჩემთვის ძნელია ვილაპარაკო ამ მთავრობების მაგიერ, მაგრამ დასაშვებად მიმაჩნია, რომ მათ არ იცოდნენ, ამერიკელები როდი მოახსენებენ ხოლმე მათ. ალბათ იმ ქვეყნების პრემიერ-მინისტრებს, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ამერიკის საჰაეროო ბაზები, არც კი უშვებენ ამ ბაზებში. **(გამოცოცხლება).** დანაშაული ისეთი სახელმწიფოებისა, როგორიც ალიან თურქეთი, პაკისტანი და სხვები, ის არის, რომ ისინი შევიდნენ აგრესიულ ბლოკებში. ხალხი ასეთ შემოხვევაში ამბობს, ადამიანმა სული ეშმაკს მიჰყიდაო; ვიდრე მას სული ჯერ კიდევ არ გაუყიდია, შეუძლია თვითონვე მოუაროს საკუთარ თავს, შემდეგ კი ეშმაკი დაეპატრონება მის სულს. ახლაც ასე ემართებათ თურქეთს, პაკისტანსა და ნორვეგიას. **(გამოცოცხლება).**

გაფრთხილებთ, ბატონო უცხოელო ჟურნალისტებო, არ მიჰყიდოთ სული ეშმაკს **(დამსწრეთა სიცილი),** არამედ შეინახეთ თავისთვის. უკეთესია თქვენი საქმიანობა მიუძღვნათ საზოგადოების პროგრესულ განვითარებას. კომუნისტური იდეები განსაზღვრავენ საზოგადოების განვითარების ყველაზე პროგრესულ, ყველაზე სწორ მიმართულებას. საუკეთესო ამერიკელებმა, როგორც, მაგალითად, ჯონ რიდმა, ავტორმა წიგნისა — „10 დღე, რომლებმაც შეძრეს ქვეყნიერება“, შეიგნეს ამ იდეების დიდი მნიშვნელობა. ჯონ რიდი ძალიან ჭკვიანი ადამიანი იყო. იგი ხომ კომუნისტად არ დაბადებულა, არამედ კომუნიზმთან მივიდა ოქტომბრის რევოლუციის დროს და კომუნისტად მოკვდა.

ზოგიერთი თქვენგანი კომუნიზმის წინააღმდეგ უცოდინარობისა და გაუგებლობის გამო წერს ხოლმე. ღმერთმა გაპატიოთ ეს. **(დამსწრეთა გამოცოცხლება, ტაში).**

როცა ვკითხულობ ბურჟუაზიულ ჟურნალისტთა ცილისწამებას საბჭოთა სინამდვილეზე, კომუნიზმზე, ზოგჯერ აღშფოთდები ხოლმე, მაგრამ შემდეგ დავფიქრდები და ვამბობ: ყველა ჟურნალისტი ჯონ რიდი ხომ არ არის. ისინი ხომ უბრალო ადამიანები არიან, რომლებიც დაქირავებული ჰყავთ ისეთ გამომცემლობებს, როგორიც არის მაგალითად, ჰერსტის გამომცემლობა, რომლებიც ობობასავით ითრევენ ადამიანს და ხლართავენ თავის ქსელში. და თუ ასეთი ჟურნალისტი არ დაწერს ცილისწამებას კომუნიზმის წინააღმდეგ, რათა უნდა იგი ჰერსტს ან სხვა საგამომცემლო კონცერნს. ჰერსტი ერთ დღესაც არ გააჩერებდა ასეთ კორესპონდენტს.

მე ჰერსტს ორჯერ ვესაუბრე. მეორე საუბრის დროს ვუთხარი მას: რას ნიშნავს ეს — თქვენ ერთს მეუბნებით. სულ სხვას კი წერთ? მან მიპასუხა: განა მე არასწორად გაგაშუქე საუბარი? მართალი უნდა ითქვას — მან ცოტად თუ ბევრად სწორად გააშუქა საუბრის შინაარსი. მაგრამ ისეთი კომენტარები დაურთო, რომლებიც ამახინჯებენ საუბრის მთელ აზრს. მე ვუთხარი ეს. მან კი მიპასუხა: მე ხომ კაპიტალისტი ვარ და საკუთარ კომენტარებს ვაძლევო. **(დამსწრეთა გამოცოცხლება).** ის კი კაპიტალისტია. მეტი წილი თქვენგანი ხომ კაპიტალისტი არ არის და არც არასოდეს იქნება კაპიტალისტი. მაშ რატომ უნდა ემსახუროთ კაპიტალიზმს? რატომ უნდა იყოთ კაპიტალიზმის ლაქიები! **(ტაში).** მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა გზა კომუნიზმისაკენ მიდის. აბა კიდევ სად უნდა მიდიოდეს?!

აი სწორედ ამისი ეშინიათ ამერიკელ იმპერიალისტებს. ამიტომ ნერვიულობენ ისინი და მიმართავენ მოუფიქრებელ ავანტიურებს. ეს მოწმობს იმას, რომ მათ არა სჯერათ თავიანთი სისტემისა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს: ყველა ქვეყანა ეწევა ჯაშუშობასო. მაგრამ საბჭოთა კავშირს ხომ არასოდეს არ შეუგზავნია და არც გზავნის თავის თვითმფრინავებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ან სხვა ქვეყნებში დაზვერვის მიზნით. თუ ყოფილა ცალკეული შემთხვევა, როცა ჩვენმა თვითმფრინავებმა წინასწარი განრახვის უქონლად დაარღვიეს სხვა ქვეყნების საჰაერო სივრცე, — ეს მოხდა თურქეთისა და ირანის საზღვარზე. — ჩვენ ბოდიში მოვიხადეთ ამ ქვეყნების წინაშე და პასუხი ვაგებინეთ იმათ, ვინც ასეთი დარღვევა ჩაიდინა.

ჩვენ გვინდა გავაფრთხილოთ ისინი, ვინც შეეცდება ჯაშუშები შემოგზავნოს ჩვენს ქვეყანაში, კარგად დაუფიქრდნენ, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას.

კითხვა. თქვენ ახლაც გსურთ, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში?

ნ. ს. ხრუშჩოვი. რა უნდა გითხრათ? დადექით ჩემს ადგილას და უპასუხეთ ჩემს მაგიერ. **(სიცილი).** ახლა თქვენ თვითონ ხედავთ, თუ რა სიძნელეები წარმოიშვა. მე თქვენ გულწრფელად გელაპარაკებით. თქვენ იცით ჩემი დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, მე არაერთხელ მითქვამს ამის შესახებ. მაგრამ ჩემი იმედი რამდენადმე არ გამართლდა. მეც ადამიანი ვარ, მეც ადამიანური გრძნობები მაქვს, მე პასუხს ვაგებ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობისათვის. გაიგეთ, რომ ჩვენ, რუსები, საბჭოთა ადამიანები, გულღიანი ვართ — თუ ქეიფია — ვიქეიფოთ, თუ დარტყმაა — დავარტყათ. და როგორ შემიძლია მე ახლა მოვუწოდო ჩვენს ადამიანებს — გამოდით და მიესალმეთ. ჩვენთან მოდის ძვირფასი სტუმარი. ხალხი იტყვის: შენ რა, ტკუბაზე შეიმალე, ეს რა ძვირფასი სტუმარია, რომელიც იწონებს ჯაშუშური მიზნით თვითმფრინავის შემოგზავნას. შემოგზავნეს რა ჩვენთან ჯაშუშური დავალებით თვითმფრინავი, ამერიკელმა მილიტარისტებმა მე, როგორც შეერთებული შტატების პრეზიდენტის სსრ კავშირში ჩამოსასვლელად მზადებისათვის პასუხისმგებელი. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩამაყენეს.

გულახდილად რომ ითქვა, ვფიქრობ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსაც ეამის ეს.

დაეუშვათ, რომ შეერთებულ შტატებში ჩემი ვიზიტის წინ ჩვენც გაგვეშვა მათთან ასეთი თვითმფრინავი და იგი იქ ჩამოეგდოთ. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შემხვდებოდნენ ამერიკელები. შემხვდებოდნენ, როგორც იტყვიან, დამსახურებისამებრ. ვფიქრობ, ეს ყველასათვის გასაგებია.

შეიძლება ვიქონიოთ იმის გარანტია, რომ პრეზიდენტის ვიზიტის დროს არავითარი ექსცესი არ მოხდება. ჩვენი ხალხი ზრდილობიანია, სულსა და გულს გადმოგიშლის, საქმეს კი მთავრობას მიანდობს, არავითარ შეურაცხმყოფელ მოქმედებას არ მიმართავს, ვფიქრობ. ამერიკელი ჟურნალისტები და ტურისტები ახლა გრძნობენ საბჭოთა ადამიანების თავშეკავებულობასა და დისციპლინას.

მე არ გამიგონია, რომ ვინმეს რაიმე საწყენი ეთქვას ამერიკელისათვის. ეს მოსაწონია. ეს მოწმობს ჩვენი ხალხის სულის ძლიერებას.

კითხვა. იქნება თუ არა ამ თვითმფრინავის გათრენინს საკითხი უმაღლესი დონის თათბირის განხილვის საგანი?

ნ. ს. ხრუშჩოვი. იგი უკვე მთელი მსოფლიოს განხილვის საგანია. ამიტომ მე ახლა არ მიმაჩნია, რომ ეს საკითხი აუცილებლად დაისვას თათბირის დღის წესრიგში. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ სოციალისტური ქვეყნების მხრივ მე მარტო ვიქნები, ხოლო დასავლეთის სახელმწიფოებს ეყოლებათ სამი წარმომადგენელი. მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ორი ამ სამთაგან იწონებდეს ამერიკის სამხედრო წრეების ანლანდელ აგრესიულ და საშიშ აქციას.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, თუ როდის ვაპირებ გავფრინდე პარიზს. მე გათვალისწინებული მაქვს ჩავიდე პარიზში 14 მაისს, თათბირის დაწყებამდე ერთი, ან ორი დღით ადრე, რათა რამდენადმე შევეგუო იქაურობას. პარიზი მე მომეწონა. კარგი ქალაქია. **(გამოცოცხლება).** და თუ სხვები არ ჩამოვლენ, — ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზოგიერთნი იმუქრებიან, თათბირი შეიძლება არ გაიმართოსო, — ყველასათვის ცხადი გახდება, რომ ჩვენი მიზეზით როდი ჩაიშლება იგი. ასე რომ, ჩვენ მივდივართ პარიზში! ხოლო თუ თათბირი არ გაიმართა? მერე რა, ჩვენ უმისოდ მრავალი წელია, ვცხოვრობთ, ეს წელიწადს კიდევ ვიცხოვრებთ. **(სიცილი, ტაში).**

თათბირით დაინტერესებულია არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ დაინტერესებულია მთელი მსოფლიო. მთელი მსოფლიოს ხალხები მოელიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მათ სურთ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია. ვფიქრობ ჩვენი პარტნიორები მოლაპარაკებაში თათბირით დაინტერესებული არიან არა ნაკლებ, ვიდრე საბჭოთა კავშირი. ამიტომ თათბირი დამოკიდებული იქნება ჩვენს პარტნიორებზე. ჩვენ მზად ვართ. ვიმეორებ. მე ვაპირებ გავფრინდე პარიზს შაბათს, 14 მაისს.

ზოგიერთი დიპლომატი ნაწყენია ჩემზე, ამბობს, რომ ხრუშჩოვი მეტად მკვეთრ გამოთქმებს ხმარობსო. მინდა მოვისმინო, როგორ გამოეხმაურებოდნენ ისინი, ასეთი აგრესიული შეჭრა რომ მოეხდინათ მათს ქვეყანაში. მე რა, ახლა ქუდი მოვიხადო და მივესალმო ამ შემოკრას?! არა, ქურდებს ისე უნდა შევხვდეთ, როგორც წესია. ეს კი იყო ქურდული, ბანდიტური თავდასხმა. **(ტაში).**

თქვენ აქ ნახეთ „ჰაერის ასაღები ხელსაწყოები“? **(სიცილი).** რა თვალით უნდა იყურებოდნენ ამ ვერსიის ავტორები მას შემდეგ, რაც იგი მხილებულია? მართალია, ჩვენ ვიცით, თუ როგორი თვალი აქვთ იმპერიალისტებს. როგორც იტყვიან, მათ თვალებში აფურთხებენ, ისინი კი ამტკიცებენ — ღვთის ნამიაო. **(სიცილი, ტაში).**

ახლა თქვენ ხედავთ, რომ მე შეგნებულად ყველაფერი არ ვთქვი ჩემს მოხსენებაში უმაღლესი საბჭოს სესიაზე, იმიტომ, რომ ვიცოდით, ვისთან გვაქვს საქმე. ჩვენ არაფერი ვთქვით თავდაპირველად, რომ მფრინავი ცოცხალია, ხელსაწყოები მთელია. თვითმფრინავი არ აფეთქებულა. მათ ეგონათ, რომ მფრინავმა თავი მოიკლა, ახლა კი, როცა იგი ცოცხალი აღმოჩნდა, ამერიკის პრესა სერიოზულად გმობს მფრინავს იმისათვის, რომ მან დაარღვია ინსტრუქცია, არ მოიკლა თავი და დაგვნებდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგი ვინმე ამბობს, მფრინავი უნდა გავასამართლოთ, რადგან ინსტრუქცია არ შეასრულა და თავი არ მოიკლაო. ეს ხომ მხეცური მსჯელობაა. აი იმპერიალიზმის იდეოლოგია. თქვენ, ბატონო ამერიკელო ჟურნალისტებო, საკუთარ გაზეთებს კითხულობთ? ეს ხომ საშინელებაა.

კითხვა. გთხოვათ თუ არა ამერიკის საქმეთა რწმუნებულმა, რომ შეხვედროდა პაუერსს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამერიკელებმა გამოგვიგზავნეს ნოტა ამის გამო და გვთხოვენ ნება დავრთოთ, რათა შეხვდნენ მას. მაგრამ მათ თვითონ იციან, რომ ეს უკვე ნამეტანია. ახლა წარმოებს მფრინავის საქმის გამოძიება, იგი ხომ ჯაშუშია. რა დროს მასთან შეხვედრაა? იგი უნდა წარსდგეს ჩვენი საბჭოთა სასამართლოს წინაშე.

კითხვა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ არც ელჩს, არც დროებით საქმეთა რწმუნებულს არ დაუშვებენ პაუერსის სანახავად?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე ეს არ მითქვამს. ამას თვითონ განსაზღვრავთ. შეიძლება ნახონ, ხოლო შეიძლება არ ნახონ. ახლა არ შეიძლება გიპასუხოთ ამ კითხვაზე, იმიტომ რომ მომდინარეობს გამოძიება.

კითხვა. აგრესიულ მოქმედებად მიიჩნევენთ თუ არა დასავლეთის სახელმწიფოთა თვითმფრინავების ფრენას ბერლინში აღმოსავლეთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ უკვე გაკაკეთეთ განცხადება ამ საკითხზე. ვიმეორებ: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა, რაც განისაზღვრება ამ ტერიტორიისათვის სამხედრო კაპიტულაციიდან გამომდინარე პირობებით. ამ მოძენტიდან დამთავრდება დასავლეთ ბერლინის ოკუპაცია, დაიხურება ყოველი გზა ბერლინში, რომელიც ემყარებოდა გერმანიის კაპიტულაციას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მაშინ სავსებით განახორციელებს კონტროლს თავის ტერიტორიაზე, აგრეთვე დასავლეთ ბერლინში შესვლაზე, რომელიც მის ტერიტორიაზეა. თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შეუთანხმდება დაინტერესებულ ქვეყნებს და ნებას დართავს მათ ისარგებლონ საჰაერო სივრცით, სანაოსნო გზებით, რკინიგზებით და გზატკეცილებით,ეს უკვე ჩვენი საქმე კი არა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეა. ეს მისი სუვერენული უფლებაა.

ზოგან ამბობენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დასავლეთ ბერლინში ძალით შეიჭრებიანო. მინდა ნათლად ვთქვა: თუ ვინმე შეეცდება ძალით შეიჭრას, მაშინ ჩვენი ჯარის ნაწილები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არიან, რათა დაიცვან მშვიდობა, მშვიდობის დამრღვევთ დაუპირისპირებენ თავიანთ ძალას. და დაე დაფიქრდნენ ფიცხი ადამიანები დასავლეთში, თუ რა მოჰყვება ამას მათთვის.

კითხვა. ითვალისწინებთ რა თვითმფრინავის ამ შემთხვევას და თქვენს ურთიერთობას პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან, ხომ არ ამჯობინებთ, რომ ეიზენჰაუერის ვიზიტი გადაიდოს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამ საკითხზე აზრებს გავუზიარებთ პრეზიდენტს, როცა პარიზში შეეხვედებით. ჩვენ წინანდებურადვე გვსურს ვეძებოთ ამერიკასთან ურთიერთობის გაუმჯობესების გზები, ჩვენ გვსურს ნორმალური ურთიერთობა გვქონდეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. და გვწამს, რომ დროთა განმავლობაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა უნდა გადაიქცეს ამ ქვეყნების ხალხებს შორის მეგობრულ ურთიერთობად. ეს ნორმალური იქნებოდა, და ყველა ნორმალური ადამიანი ამას ესწრაფვის ახლაც და მომავალშიც.

მეტი კითხვა არ არის?

ხმები. არა. გმადლობთ. **(ერთსულოვანი ტაში).**

ნ. ს. ხრუშჩოვი. დასასრულ მინდა შემდეგი ვთქვა. ჩვენ სასტიკად ვეპყრობით იმათ, ვინც ჩვენი სამშობლოს ფარგლებში იჭრება, ვინც არღვევს ჩვენს სუვერენიტეტს. მაგრამ ჩვენ გვსურს ყველა ხალხთან ვიცხოვროთ მშვიდობით და მეგობრობით. გაიგეთ ჩვენი მდგომარეობა, ბატონებო, როცა აღშფოთებით ეგმობთ ასეთ აგრესიულ მოქმედებას. ჩვენ საღად ვუყურებთ საგნებს და კარგად გვესმის, რომ ყოველგვარი, თვით მწვავე პოლემიკაც კი უმჯობესია, ვიდრე ომი. ამიტომ ყველ ღონეს ვიხმარ[illegible] რათა [illegible] „[illegible] [illegible] [illegible] [

საბჭოთა ხალხების აღშფოთებას ინვევს
ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხროვის თავხედური მოქმედება

★ ★

ხალხის ხმა

„მოსკოვი. კრემლი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია". ათასობით დეპეშა და წერილი მოვიდა ამ მისამართით. საწარმოების, შახტების, მაღაროების, ნავთობსარეწების, მშენებლობათა, რკინიგზების, სახოფლო-სამეურნეო არტელების კოლექტივები, გემების ეკიპაჟები, ცალკეული მოქალაქეები მხურვალედ იწონებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას და სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მშრომელები აცხადებენ, რომ საკუთარი უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და გმობენ ამერიკის საჰაერო ძალების პროვოკაციულ მოქმედებას.

გულითად მადლობას უხდიან რა პარტიასა და მთავრობას საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვის გამო, მშრომელები აქმობენ, რომ ყოველ ღონეს იხმარენ შვიდწლედის მეორე წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. მუშების, კოლმეურნეების, ინჟინრების, მეცნიერების ახალი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ნაკისრია სესიის მუშაობის პერიოდში, მოწმობენ ჩვენი ხალხის უდიდეს სურვილს უფრო მეტი წარმატება მოიპოვოს პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა შესრულებაში.

დეპეშებისა და წერილების გეოგრაფია მეტისმეტად ვრცელია. დეპეშები მიღებულია ლენინგრადის კიროვის სახელობისა და „ელექტროძალის" ქარხნების, ხარკოვისა და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნების, მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის, კომბინატ „საზოპორფოლადის", გორკის საავტომობილო ქარხნისა და ქარხანა „წითელი სორმოვოს", ბარნაულის მელანყის კომბინატის, ივანოვოს დიდი მანუფაქტურის კოლექტივებისა და სხვებისაგან. მრავალი და მრავალი ქალაქი, დასახლებული პუნქტი გვხვდება სსრ კავშირის. უმაღლესი საბჭოს სესიის ფოსტაში. ეს არის სოფელი ლავრენტია — ყველაზე ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონული ცენტრი — ჩვენი ქვეყნის ჩუკოტკის რაიონისა, იმიერ-პოლარული დუდინკის ნავსადგური და ომსკის ოლქის დრობიშევსკის რაიონის ყამირის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვება", ტუვის ავტონომიური ოლქის ძუნ-ხემჩიკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა და მოსკოვის ოლქის კუნცევოს რაიონის სკკპ XXI ყრილობის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი. ყველა დიდი სამრეწველო ცენტრიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან მშრომელებმა გამოგზავნეს მისალმების სიტყვები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მონაწილეებისადმი, გულითადი მადლობა კომუნისტური პარტიისადმი, ცენტრალური კომიტეტისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი ხალხისათვის ზრუნვის გამო.

ბუხარის XVI პარტყრილობის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი წერს:

„მარტო ჩვენს ქვეყანაში შეიძლება ასეთი მზრუნველობის გამოჩენა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისათვის. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუძლია დასვას საკითხი გადასახადისაგან მოსახლეობის განთავისუფლების შესახებ. ჩვენ მსურვალედ ვიწონებთ ფასების მაშსტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით შეცვლის ღონისძიებებს. ყველა ამ ღონისძიების მიზანია საბჭოთა ფულის სისტემის შემდგომი გაუმჯობესება, საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარის გადიდება, სოლო ამით ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ი ულიანოვსკის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დეპეშა-პაკეტი. 5 მაისისათვის იქ დაითესა 727 ათასი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, აქედან საადრეო მარცვლეული კულტურები — 593 ათასი ჰექტარი. გეგმა შესრულებულია 180 პროცენტით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის პრეზიდიუმს დეპეშას უგზავნის ალბეკ ამმეტოვი ხაკასის ავტონომიური ოლქის ასკიზიდან. იგი წერს:

„ძვირფასო ამხანაგებო! მე ჩემს ოჯახთან ერთად დიდი ყურადღებით მოვისმინე რადიოთი ნიკიტა სერგეიძე ხრუშჩოვის სიტყვა უმაღლესი საბჭოს სესიაზე. არ შემიძლია არ გამოვთქვა დიდი სიხარულის გრძნობა. კმაყოფილება მშობლიური პარტიის, მთავრობის ბრძნული პოლიტიკის გამო, მშრომელი ადამიანის კეთილდღეობისათვის მუდმივი ზრუნვის გამო. 22 წელიწადია ვმეთაურობ მწყემსთა ბრიგადას. ბრიგადა შედგება ჩემი ოჯახის წევრთაგან. შვიდწლედის მეორე წელს ვალდებულება ვიკისრეთ 135 ბატკანი მივიღოთ ას დედაცხვარზე, თვითეულ ცხვარზე მიკიღოთ 6 კილოგრამი მატყლი. ჩვენს სიტყვას პირნათლად შევასრულებთ". ლუგანსკის ოლქის სვერდლოვის სახელობის 1-2 შახტის მაღაროელი ივანე ბელოუსოვი თავის ბრიგადასთან ერთად ვალდებულებას კისრულობს წელს გეგმის გადაჭარბებით ამოიღოს სულ ცოტა 7 ათასი ტონა ქვანახშირი.

მისალმება სესიისადმი, მის გადაწყვეტილებათა მოწონება გამოგზავნეს სოციალისტური შრომის გმირებმა, სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა ი. ჩიუმა, ი. პუზანოვმა, ტ. ზემლიანიანიმ, ვ. ტკაჩენკომ, სოფელ კალინოვკის კოლმეურნეებმა და ბევრმა სხვამ.

ყველა წერილსა და დეპეშაში საბჭოთა ადამიანები გამოთქვამენ დიდ აღშფოთებას ამერიკის სამხედრო წრეების პროვოკაციული მოქმედების გამო, რომლებმაც გამოგზავნა ამერიკის საჰაერო ჯაშუში. აუდელვებლად არ შეიძლება წაიკითხო აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის დაბა ფემონაიხის საბავშვო სახლისა და № 1 დაწყებითი სკოლის თანამშრომლების დეპეშა. „ჩვენ ვიცით, თუ რა არის ომი, — ამბობენ ისინი, — ჩვენ ვართ მოწმენი უდიდესი უბედურებისა. რაც გამოსცადეს ჩვენმა ბავშვებმა — ალსაზრდელებმა. ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ — ომი არ უნდა იქნეს. გუმარჯოს მთელი მსოფლიოს ეშვიდობას! დაე ჩვენმა ბავშვებმა არასოდეს არ იცოდნენ რა არის ომი!"

ახლა დეპეშები და წერილები მოდის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისამართით. მძლავრად გაისმის ხმა საბჭოთა ხალხისა, რომელიც ეწევა მშვიდობიან, შემოქმედებით შრომას, რომელსაც მხურვალედ უყვარს თავისი სამშობლო, უსაზღვროდ ერთგულია კომუნიზმის დიადი საქმისა. საბჭოთა ადამიანები რწმენით იცქირებიან წინ. მათ სურთ მშვიდობა დედამიწაზე, თავიანთი შვილების ბედნიერება. ჩვენს ხალხს სწამს, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს—მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე. (საკდესი).

მეტალურგთა აღშფოთება

რუსთავი. (საკ. კორ.). დღის 4 საათია. ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროში თავი მოიყარეს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა. ტრიბუნაზეა მეორე ღუმელის უფროსი მეაირე თ. მკედლიძე.

— ამერიკელი იმპერიალისტები, — თქვა მან, — უსინდისოდ აგრძელებენ ცივ ომის პოლიტიკას. მათ მიერ გამოგზავნილი თვითმფრინავის შემოჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში ერთხელ კიდევ ამხელს ამერიკის იმპერიალიზმის არა მარტო აგრესიულ ხასიათს, არამედ მის დანაშაულებრივ მოქმედებასაც.

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს მშვიდობა გვსურს და კიდევაც ვიბრძვით მისი განმტკიცებისათვის, მაგრამ თუ ვინმე ბედეცდება საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დარღვევას, საკადრის პასუხსაც მიიღებს, — განაცხადა მტინგზე ამავე საამქროს ოსტატმა პ. ომეიანიძემ.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა აგრეთვე ცემენტის, აზოტოვანი სასუქების და მექანიკური ქარხნებში.

დავიცავთ მშვიდობის საქმეს

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმართება ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები ამერიკის თვითმფრინავის მიერ საბჭოთა სახელმწიფო საზღვრების დარღვევის გამო.

სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში გამართულ მიტინგზე ამერიკის ავიაციის აგრესიული მოქმედების შესახებ ინფორმაცია გააკეთა კომბინატის დირექტორმა ა. ღვინჯილიამ.

სიტყვა აიღო მოწინავე მუშამ ბ. ბაბოშვილმა. მან განაცხადა:

— ყველა საბჭოთა ადამიანი აღშფოთებულია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავის პროვოკაციული შემოჭრით. საბჭოთა კავშირი, რომელიც ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს, სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობით, მაგრამ თუ იმპერიალისტებმა ასეთი პროვოკაციები გაიმეორეს ჩვენ იძულებული გავხდებით განვახორციელოთ საპასუხო ღონისძიებანი.

პროტესტი

სტალინირი. (საკ. კორ.). ამერიკელ აგრესორთა მოქმედებამ საერთო აღშფოთება გამოიწვია სტალინირის მშრომელებში. საბჭოთა პატრიოტები სასტიკად გმობენ ჯაშუშთა პროვოკაციებს ჩვენს მშობლიურ მიწაზე.

ქალაქის საწარმოებში ამასთან დაკავშირებით გაიმართა საპროტესტო მიტინგები. სტალინირის ხე-ტყის კომბინატში შესვენების დროს გამართულ მუშათა მიტინგზე ამერიკელ აგრესორთა საზიზღარი მოქმედების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ბ. ფალავანდიშვილი.

ტრიბუნაზეა სამხერხაო საამქროს ოსტატი ვ. თედეევი. მან განაცხადა:

— საბჭოთა ხალხს მშვიდობა სურს, იგი აგრესორთა დანაშაულებრივ მოქმედებას ვერ მოითმენს. მადლობა საბჭოთა მეომრებს, რომლებმაც შესანიშნავად გამოიყენეს პირველი კლასის სამხედრო ტექნიკა და მიწას დაანარცხეს საბჭოთა ტერიტორიაზე შემოჭრილი მტრის თვითმფრინავი.

მათი გულისწყრომა

ჟუთაისი. (საკ. კორ.) ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა, რომლის წარმომადგენელი — მოწინავე მქსელავი გოგონა გამეზარდაშვილი მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მუშაობაში, თავისი ხმა შეუერთა მთელი საბჭოთა ხალხის, კეთილი ნების ყველა ადამიანის პროტესტს ამერიკელ აგრესორთა ავანტიურა გამოხდომის გამო.

კომუნისტური შრომის დამკვრელმა მქსოველმა თამარ გაგოშიძემ განაცხადა:

— მაშინ როცა კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სულ უფრო მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პოლიტიკას, ოკეანესაღმელი აგრესორები ცეცხლს ეთამაშებიან. ამერიკის თვითმფრინავის მიერ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების დარღვევამ მით უფრო დიდი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია, რომ ეს პროვოკაციული გამოხდომა ჩადენილია ოთხი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა უმაღლესი დონის თათბირის წინ. პროვოკაცია ჩაიფუშა. პროვოკატორები მხილებული არიან მთელი მსოფლიოს წინაშე. ჩვენი მოვალეობაა თავდადებული შრომით განვამტკიცოთ საყოველთაო მშვიდობის საქმე. ვკისრულობ მიმდინარე წლის დაგალება შევასრულო 11 თვეში. გამოვუშვა მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილები.

ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. მახროვამ, ფეიკრებმა თ. ომიაძემ, ქ. შანიძემ, ვ. მუხინამ და სხვებმა.

აგრესორები — სამარცხვინო ბოძზე

პირველი ცვლის დამთავრების ყეფდეგ თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის ეზოში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დაზვერვის მიზნით, ამერიკის მზვერავი თვითმფრინავის ავაზაკური შემოჭრისა და საკადრისი პასუხის შესახებ, რომელიც მან მიიღო, გააკეთა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა თ. ილურიძემ.

მუშათა ფიქრი და გრძნობა კარგად გამოხატა თავის სიტყვაში მოწინავე მკერავმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა რ. ჯანჯალიშვილმა:

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, თქვა მან, გვინდა მშვიდობიანად და მეგობრულად ვიცხოვროთ ყველა ხალხთან. ჩვენი საქმე კარგად მიდის, ჩვენი სახელმწიფო იზრდება და მტკიცდება, დღითიდღე უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. გადაწყვეტილებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისა, რომელიც ეს არის დამთავრდა, გამსჭვალულია საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვით.

იმპერიალისტებს მოსვენებას არ აძლევენ ჩვენი წარმატებანი. ამან ეშინიათ ჩვენი და საზიზღარ პროვოკაციებს მიმართავენ. მაგრამ ბანდიტებმა საკადრისი პასუხი მიიღეს და კვლავაც მიიღებენ. ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი სამარცხვინო ბოძზე მოაკრავს ახალი ომის გამჩაღებლებს. ჩვენ კი ჩვენი თავდადებული შრომით განვამტკიცებთ სამშობლოს სიმძლავრეს, რომელიც დაამხვრევს ამერიკელი და სხვა აგრესორების ყოველგვარ ბრიკს.

მიტინგზე მგზნებარე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს მკერავმა ნ. ოდიშელიძემ, საამქროს უფროსმა ზ. ოგანეზოვმა, კადრების განყოფილების ინსპექტორმა მ. ჯანდაგურმა.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მრისხანე პროტესტს აცხადებენ ამერიკელი სამხედრო წრეებისა და მათი თანამონაწილეების პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ, იწონებენ და მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, მოუწოდებენ სიფხიზლის გაძლიერებისაკენ, ყოველი აგრესორისათვის ლადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევისაკენ. (საქდესი).

მშვიდობა გაიმარჯვებს

მახარაძე (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები მრისხანე აღშფოთებას გამოთქვამენ ამერიკელი იმპერიალისტების ახალი პროვოკაციის გამო.

— ჩვენი აყვავებული სამშობლოს მიწა-წყალზე ამერიკის თვითმფრინავის შემოჭრა, — განაცხადა ლაშეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა სერგო ჩხაიძემ, — აშკარა ბოროტებაა, რომელიც მიმართულია მშვიდობის საქმის საზიანოდ. იმპერიალისტები ანგარიშში მოტყუვდნენ. მშვიდობის ძალები აიორაცხელია. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე. ომის გამჩაღებელთა უგუნური ცდები განწირულია ჩასაფუშავად. მშვიდობის განმტკიცებისათვის კიდევ უფრო ენერგიულად გიმუშავებთ.

დაგმეს ამერიკელი ომის გამჩაღებლები

ტყიბული, 13 მაისი. (საქდესი). ტყიბულის შახტებში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები, რომელთა მონაწილენი გამოხატავენ თავიანთ მრისხანე აღშფოთებას ამერიკელი იმპერიალისტების თავხედური პროვოკაციის გამო.

სტალინის სახელობის შახტის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მონაწილე ი. ორჯონიკიძე. მან თქვა:

— უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე თავის სიტყვაში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაშკარავა ამერიკელი აგრესორების სამარცხვინო ჯაშუშური მოქმედება, რომლებმაც სამხედრო თვითმფრინავის მიერ საბჭოთა საზღვრების დარღვევა ყველა საბჭოთა ადამიანის კანონიერ აღშფოთებას იწვევს. ამ აგრესიულმა აქტმა ცხადყო, რომ ომის გამჩაღებლები არ ცხრებიან, არა სურთ მშვიდობა, რომლის განმტკიცებისთვისაც ასე თანამიმდევრულად იბრძვის ჩვენი მთავრობა. აგრესორებს უნდა ესმოდეთ, რომ ყოველთვის მიიღებენ საკადრის პასუხს. ჩვენ, მეშახტეები, თავდადებული შრომით შევუწყობთ ხელს ჩვენი საშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

მიტინგზე გამოვიდნენ მნგრეველთა ბრიგადის ბრიგადირი მ. ლანჩავა, მნგრეველი გ. სუთიძე, ბრიგადირი გ. გოტიაშვილი და სხვები. მათ დაგმეს ამერიკელი ომის გამჩაღებლები, გულისწყრომა და აღშფოთება გამოთქვეს ამერიკის აღვირახსნილი სამხედრო წრეების პროვოკაციული გამოხდომის გამო.

მშვიდობა გაიმარჯვებს

თელავი. (საკ. კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მისი მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი ძალღონეს არ ზოგავენ მშვიდობის საქმისათვის. ამერიკელი ოინბაზები კი ომს ნატრობენ. ჩვენი დიადი ქვეყნის საჰაერო სივრცეში ამერიკელი მეკობრის შემოჭრა მზაკვრული, უგუნური ნაბიჯია. ახსოვდეთ იმპერიალისტებს, რომ ცეცხლთან თამაში საშიშია. ამას ამბობს ქალი და კაცი, მოხუცი და ჭაბუკი.

ლენინის ორდენოსანი წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. არჩილ უთიაშვილმა განაცხადა:

— ამერიკელთა მოქმედება გოიცებას იწვევს. ნუთუ მათ ალარ ახსოვთ, რომ კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტური ურჩხული საბჭოთა არმიამ ნაცარტუტად აქცია. ასე მოუვა ყველას, ვინც ხელს აღმართავს კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის წინააღმდეგ. მიღიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია — ასეთი იქნება ჩვენი პასუხი ამერიკელთა აგრესიულ მოქმედებაზე.

ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ მოქმედებაზე აღშფოთებით ილაპარაკეს საშუალო სკოლადამთავრებულმა დ. აბაშიძემ, მუშებმა რ. მამალაშვილმა, ნ. ორდინინიმ, კ. მსუქნიშვილმა, ბრიგადირმა ალ. სისაურმა და სხვებმა.

ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები გაიმართა აგრეთვე ნაფარეულის მეეზოეობის საბჭოთა მეურნეობაში, აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში, კერძოლეურისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

უგუნური ნაბიჯი

თელავი. (საკ. კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მისი მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი ძალღონეს არ ზოგავენ მშვიდობის საქმისათვის. ამერიკელი ოინბაზები კი ომს ნატრობენ. ჩვენი დიადი ქვეყნის საჰაერო სივრცეში ამერიკელი მეკობრის შემოჭრა მზაკვრული, უგუნური ნაბიჯია. ახსოვდეთ იმპერიალისტებს, რომ ცეცხლთან თამაში საშიშია. ამას ამბობს ქალი და კაცი, მოხუცი და ჭაბუკი.

ლენინის ორდენოსანი წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. მეურნეობის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. არჩილ უთიაშვილმა განაცხადა:

— ამერიკელთა მოქმედება გოიცებას იწვევს. ნუთუ მათ ალარ ახსოვთ, რომ კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტური ურჩხული საბჭოთა არმიამ ნაცარტუტად აქცია. ასე მოუვა ყველას, ვინც ხელს აღმართავს კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის წინააღმდეგ. მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია — ასეთი იქნება ჩვენი პასუხი ამერიკელთა აგრესიულ მოქმედებაზე.

ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ მოქმედებაზე აღშფოთებით ილაპარაკეს საშუალო სკოლადამთავრებულმა დ. აბაშიძემ, მუშებმა რ. მამალაშვილმა, ნ. ორდინინიმ, კ. მსუქნიშვილმა, ბრიგადირმა ალ. სისაურმა და სხვებმა.

ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები გაიმართა აგრეთვე ნაფარეულის მეეზოეობის საბჭოთა მეურნეობაში, აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში, კერძოლეურისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

მშრომელთა მიტინგებზე

სურათებზე: ზემოთ — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშების ერთი ჯგუფი ამერიკის თვითმფრინავის მიერ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების დარღვევის გამო საპროტესტო მიტინგის წინ გამოთქვამს თავის გულისწყრომას. ქვემოთ — მარცხნიდან: მიტინგზე გამოსული ამხანაგები — კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. ჭილიფთარი, სართავი საამქროს ოსტატი ი. გონაშვილი, საკოტონო საამქროს მქსოველი ე. ჯაფარიძე და კომბინატის ლაბორატორიის გამგე გ. ევტუშენკო.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. გოგოხიანი.

ჩვენი სამშობლო უძლეველია

წარმატებით დაიწყო შვიდწლედის მეორე წელი თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა. მან პირველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით რესპუბლიკაში პირველი ადგილი მოიპოვა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა. ამ დიდი საწარმოო გამარჯვების გამო კომბინატის სადღესასწაულო დარბაზში შეკრებილ მუშა-მოსამსახურეთა სახეზე მხოლოდ სიხარულსა და აღფრთოვანებას ამოიკითხავდით. მაგრამ დღეს იქნე თავმეფირილი თვითეული მშრომელი გულისწყრომისა და აღშფოთების გრძნობას მოუცავს. ბევრ მათგანს უნებურად ეკუმშება მუშტები ამერიკელ აგრესორთა ახალი პროვოკაციული გამოხდომის გამო.

საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ი. სიხარულიძემ, რომელმაც მუშა-მოსამსახურეთა საპროტესტო მიტინგი გახსნა, ინფორმაციისათვის სიტყვა მისცა კომბინატის პარტკომის მდივანს ამხ. თ. გიორგაძეს.

— მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა, — განაცხადა მან, — აღშფოთებულია ამერიკელ აგრესორთა პროვოკაციული მოქმედებით. ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ამერიკული თვითმფრინავის აგრესიული შემოჭრა იმპერიალისტთა ახალი პროვოკაციული მოქმედებაა. საშიშროება ღრმავდება იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა თვის 10 მაისის განცხადებაში არა მარტო გაამართლა მომხდარი აგრესია, არამედ აღნიშნა ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს შემდგომშიც მოახდინოს ასეთი ფრენა. რა არის ეს, თუ არა ომის ზღვარზე ბალანსირების უბადალებული პოლიტიკა?

ჩვენ მივესალმებით და მხარს ვუჭერთ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტას, — განაგრძობს ორატორი, რომლებშიც მხილებულია ამერიკის თვითმფრინავის ჩვენს ქვეყანაში შემოჭრის ნამდვილი არსი. ჩვენი კომბინატის კოლექტივი თავისი გულისწყრომის ხმას უერთებს მთელი საბჭოთა ხალხის ხმას. იგი ყველაფერს გააკეთებს კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

მიტინგზე ერთმანეთს სცვლიან ორატორები — კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. ჭილიფთარი, სართავი საამქროს ოსტატი ი. გონაშვილი, მქსოველი ეთ. ჯაფარიძე, ლაბორატორიის გამგე მ. ევტუშენკო და სხვ.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი სავსებით უჭერს მხარს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. იგი გადაჭრით გმობს ამერიკელ იმპერიალისტთა ახალ პროვოკაციულ გამოსვლას, რომელიც მიმართულია კომუნიზმის მშენებელი ჩვენი ხალხის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის პარტიის ახალი ზრუნვის საპასუხოდ, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებული სესიის გადაწყვეტილებებში, პირობას ვდებთ გავაძლიეროთ ჩვენი რევოლუციური სიფხიზლე, ვიმუშაოთ უკეთ, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და მანქანების წარმადობა, შევასრულოთ შვიდწლედის მეორე წლის გეგმა ვადაზე 11 დღით ადრე — 20 დეკემბრისათვის.

მტერი საკადრის პასუხს მიიღებს

გორი, 13 მაისი. (საქდესი). გორის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდად აღაშფოთა ამერიკის სამხედრო წრეების პროვოკაციულმა გამოხდომამ, აგრეთვე თანამონაწილე ქვეყნების — თურქეთის, პაკისტანისა და ნორვეგიის მოქმედებამ, რომლებმაც ბაზები დაუთმეს ამერიკელ აგრესორებს.

საწარმო-დაწესებულებებში იმართება მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგები. კონსერვის ქარხანაში გამოვიდა მოწინავე ბრიგადის ბრიგადირი მ. კისიშვილი. მან განაცხადა:

— ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული წარმატებანი მოსვენებას არ აძლევენ ომის გამჩაღებლებს. მაშინ როცა მთელი საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა, ამერიკის სამხედრო წრეები ჩვენს ტერიტორიაზე გზავნიან სამხედრო თვითმფრინავს ჯაშუშური მიზნით. მაგრამ მტერი ანგარიშში მოტყუვდა. ასე მოუვა ყველას, ვინც ხელყოფს ჩვენს წმიდა საზღვრებს. საბჭოთა სახელმწიფო ახლანდელსავით ძლიერი არასოდეს არ ყოფილა. მას შეუძლია არა მარტო მოიგერიოს ყოველი დარტყმა, არამედ პირისაგან მიწისა აღგავოს აგრესორის ყოველი სამხედრო ტექნიკა. ჩვენ ვიშრომებთ ენერგიის დაუზოგავად, რათა კიდევ უფრო ძლიერი გავხადოთ ჩვენი სამშობლო, ვალდებულებას ვკისრულობთ ვადამდე შევასრულოთ შვიდწლედის მეორე წლის გეგმა. ზუსტი ხელსაწყოების ქარხანაში, პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბამბეულის კომბინატის ფაბრიკებში გამართული მიტინგების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლებშიც გმობენ ამერიკელ აგრესორებს, მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას.

ქომუნისტი
მე-8 გვერდი, შაბათი, 14 მაისი, 1960 წ.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის

საერთაშორისო დეკეშები, ცნობები, მიმოხილვა

ვაშინგტონი, 11 მაისი, საკდესის კორესპონდენტები **გ. შიშკინი** და **მ. საგატელიანი** იუწყებიან:

დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა გააკეთა განცხადება ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავის შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ „აუცილებელია“ ჯაშუშური საქმიანობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სადაზვერვო საქმიანობა, განაცხადა მან, სასიამოვნო არ არის, მაგრამ იგი სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ამერიკის ჯაშუშური ფრენის გასამართლებლად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოიყენა ახსნა-განმარტება, რომელიც ადრე გააკეთა სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა. პრეზიდენტმა სცადა არსებული საერთაშორისო დაძაბულობის მთავარ მიზეზად დასახა ვითომდა საბჭოთა კავშირის „მეტისმეტი საიდუმლოება“.

გ. პ. არკადიევი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე

ნიუ-იორკი, 11 მაისი. (საკდესი). გამოქვეყნდა ცნობა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დ. ჰამარშელდმა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გ. პ. არკადიევი დანიშნა თავის მოადგილედ პოლიტიკურ საკითხებსა და უშიშროების საბჭოს საქმეებში.

ნ. ვ. პოპოვა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 12 მაისი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი საზოგადო მოღვაწის რ. დაულინგის მოწვევით ნიუ-იორკს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა. ეროდრომზე ნ. ვ. პოპოვას შეხვდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე გ. პ. არკადიევი, ბ-ნი რ. დაულინგი მეუღლითურთ, ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა ეროვნული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ქ-ნი დ. სტეტენი, საბჭოთა კავშირის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს ნ. ვ. პოპოვა იმოგზაურებს ამ ქვეყანაში.

ჩამოაგდეს ამერიკის თვითმფრინავი

ლონდონი, 13 მაისი. (საკდესი). რეიტერის საგაზეთო ჰაკანიდან გადმოგვცემს, რომ კუბის უშიშროების ძალებმა ჩამოაგდეს თვითმფრინავი და მოკლეს ამერიკელი მფრინავი, რომელიც ამ თვითმფრინავს პილოტობდა. ამ თვითმფრინავს კუბიდან უნდა წაეყვანა 5 კაცი და ფლორიდაში (ამერიკის შეერთებული შტატები) ჩაეყვანა ისინი.

თვითმფრინავი ჩამოაგდეს მარიელის ახლოს, დაახლოებით 50 მილზე ჰავანის დასავლეთით. დაპატიმრებულია ხუთივე კაცი, რომლებიც ცდილობდნენ არალეგალურად წასულიყვნენ კუბიდან.

საგჯოთა კავშირ-კუბის კომუნიკე

1960 წლის 12 მაისს ჰავანაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მექსიკაში ვ. ი. ბაზიკინმა და კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დოკტორმა რაულ როა გარსიამ გაცვალეს სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შეთანხმებისა და კუბის რესპუბლიკის მთავრობისათვის სსრ კავშირის მთავრობის მიერ კრედიტის მიცემის შეთანხმების ხარატფიკაციო სიგელები, რომლებსაც ხელი მოაწერეს ჰავანაში 1960 წლის 13 თებერვალს.

ითვალისწინებს რა იმას, რომ ორივე სახელმწიფო დაინტერესებულია გაფართოოს საგარეო ურთიერთობა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხარგებლიანობის საფუძველზე, სსრ კავშირი თანახმაა 1960 წელს კუბის რესპუბლიკაში შეისყიდოს 425 ათასი ტონა შაქარი უკვე შესყიდულ 575 ათას ტონის დამატებით, რომელიც შემოზიდულ იქნება მიმდინარე წელს, და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ყოველწლიურად შეისყიდოს თითო მილიონი ტონა შაქარი. გარდა ამისა, სსრ კავშირის მთავრობა კუბის რესპუბლიკის მთავრობას მისცემს 100 მილიონ დოლარ კრედიტს წლიური 2,5 პროცენტის ანგარიშით და აღნიშნული კრედიტის ანგარიშში კუბის რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით გაუწევს ტექნიკურ დახმარებას კომპლექსურ საწარმოოა მშენებლობაში, რასაც კუბის რესპუბლიკის მთავრობა განახორციელებს 1961-1965 წლებში.

აღნიშნული შეთანხმებანი ხელს შეუწყობენ სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

პრეს-კონფერენცია

ეიზენჰაუერმა აგრეთვე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები კვლავ შეიტანენ პარიზის თათბირზე ძველ წინადადებას „ღია ცის“ შესახებ და ამას იმით ასაბუთებენ, რომ ეს შეერთებულ შტატებს სჭირდებათ რეშენისათვის, რომ მოწინააღმდეგე მხარე არ ამზადებს უეცარ თავდასხმას.

თავისი განცხადების დასასრულს ეიზენჰაუერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თვითმფრინავის ინციდენტმა არ უნდა ჩამოაშოროს ყურადღება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის რეალურ საკითხებს, რომლებიც განხილულ იქნება უმაღლესი დონის პარიზის თათბირზე. ასეთ საკითხებს, თქვა პრეზიდენტმა, ეკუთვნის განიარაღება, გერმანიის პრობლემა, აგრეთვე ბერლინის საკითხი და ყველა საკითხი, რომლებიც ეხება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას.

უპასუხა რა კითხვებზე უმაღლესი დონის თათბირის ხანგრძლივობის შესახებ, ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ იგი მზად არის თათბირზე დარჩეს ისე დიდხანს, როგორც ამას მოითხოვს საქმის ინტერესები. მან აღნიშნა, რომ თათბირის მსვლელობაში სამთავრგმნელო მუშაობის დიდი მოცულობის საჭიროება შეუძლებელს ხდის ზუსტად ითქვას, რამდენ ხანს გაგრძელდება თათბირი. ყოველ შემთხვევაში, ხაზგასმით აღნიშნა ეიზენჰაუერმა, მე მზად ვარ დავბრუნდე პარიზის თათბირზე ორი ან სამი დღით წასვლის შემდეგ, თუ თათბირი კვლავ განაგრძობს მუშაობას. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი წინა განცხადება იმის შესახებ, რომ ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი შეცვლის მას თათბირზე, სწორად არ იყო გაგებული. მე მხედველობაში მქონდა, თქვა პრეზიდენტმა, რომ ნიქსონი შემცვლის მხოლოდ ორ-სამ დღეს, რაც მომინდება პორტუგალიაში წასასვლელად. თუ ამ გამგზავრების დამოავრების დროისათვის პარიზის თათბირი არ დამთავრდება, მზად ვარ დავბრუნდე მასზე.

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა უარყოფითი პასუხი გასცა კითხვაზე, შეიცვალა თუ არა უკანასკნელი ამბებს შედეგად უმაღლესი დონის მომავალი თათბირის პერსპექტივები.

ერთ-ერთი კორესპონდენტი დაუბრუნდა თვითმფრინავის ინციდენტს და შეეკითხა პრეზიდენტს, რა შეუძლია მას თქვას დასავლეთის ქვეყნებში საბჭოთა სადაზვერვო ფრენის შესახებ. ეიზენჰაუერმა მტკიცედ უპასუხა, რომ საბჭოთა თვითმფრინავებს არ განუხორციელებია რაიმე ამგვარი ფრენა ამერიკაში.

შემდეგ კორესპონდენტები შეეკითხნენ ეიზენჰაუერს, როგორია მისი აზრი, მიმდინარე ამბების მიხედვით საბჭოთა კავშირში მომავალი გამგზავრების შესახებ. ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ იგი არ აპირებს უარი თქვას ამ გამგზავრებაზე.

დემოკრატების გასამართლება

ათენი, 12 მაისი. (საკდესი). გუშინ ათენის სამხედრო ტრიბუნალში, სადაც ირჩევა ბერძენი დემოკრატების დიდი ჯგუფის ეგრეთწოდებული „ჯაშუშობის“ საქმე, სიტყვა წარმოთქვა სამეფო პროკურორმა. არ მოიყვანა რა რაიმე დამამტკიცებელი საბუთები ანდა თუნდაც დამამტკიცებელი საბუთის მსგავსი რამ ბრალდებულთა „ჯაშუშობის“ შესახებ, მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ ისინი ეკუთვნიან საბერძნეთის კომუნისტურ პარტიას, პროკურორმა მოითხოვა მთელ რიგ ბრალდებულთა სიკვდილით დასჯა, აგრეთვე სხვა დემოკრატების სამუდამო ან ხანგრძლივი პატიმრობა.

ამით ხელისუფლებმა ცხადყვეს თავიანთი განზრახვა არ გაუფრთხილონ ანგარიში საბერძნეთისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის განწყობილებას და გააძლიერონ ბერძენი დემოკრატების დასჯა, გაამწვავონ მდგომარეობა საბერძნეთში.

ბრძოლები ინდონეზიაში

ჯაკარტა, 12 მაისი. (საკდესი). როგორც ანტარას სააგენტო იუწყება, ინდონეზიის არმიის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მეამბოხეთა წინააღმდეგ მთავრობის ჯარების ოპერაციების დროს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მეამბოხეებმა დაკარგეს 1.210 კაცი მოკლულთა სახით, 230 კაცი დაჭრილთა სახით და 438 კაცი ტყვეთა სახით. მთავრობის ჯარებმა დაკარგეს 106 ჯარისკაცი და 49 პოლიციელი მოკლულთა სახით.

სამხედრო მოლაპარაკება ბონში

ბონი, 11 მაისი, (საკდესი). დღეს აქ გაიმართა მოლაპარაკება დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თანამშრომლობის შესახებ. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სამი დღის ვიზიტით ჩამოსული საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი გენერალი სტელენი და დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალი კამპუბერი. ეს მოლაპარაკება განგრძობა იყო ერთი კვირის წინათ გამართული საუბრისა „სამხედრო თანამშრომლობის“ შესახებ ბონის თავდაცვის მინისტრ შტრაუსსა და საფრანგეთის სამხედრო მინისტრ მესმერს შორის.



ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავის მფრინავი ფრენსის პარი პაუერსი.

საფრანგეთი. **პარიზი.** ელისეს მინდვრები.

ფოტო ვ. სობოლევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

საფრანგეთის ეროვნულ კრეგაში

პარიზი, 12 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული კრება ორ დღეს განიხილავდა მთავრობის მიერ შეტანილ კანონპროექტს კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ, რომლებიც ეხება საფრანგეთის გაერთიანებას. კანონპროექტი შეტანილი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთსა და საფრანგეთის გაერთიანების ორ წევრს — მადაგასკარსა და მალის ფედერაციას შორის ამას წინათ დაიდო შეთანხმება მათი დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ საფრანგეთის გაერთიანების ფარგლებში. მთავრობის კანონპროექტის მთავარი მიზანია თავიდან აიცილოს გაერთიანებიდან აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოების გამოსვლა, რომელთა ხალხები იბრძვიან სრული დამოუკიდებლობისათვის. კამათში გამოვიდა პრემიერ-მინისტრი დებრე, რომელმაც აღიარა, რომ ახლა მთელ აფრიკის კონტინენტს „მთელი მძლავრი მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის“. მან გასაგებად თქვა, რომ შექმნილ პირობებში საფრანგეთი იძულებულია რამდენადმე გადასინჯოს თავისი ურთიერთობა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებთან.

კანონპროექტის განხილვის დროს მემარცხენე დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ იგი სრულიადაც არ შეესაბამება აფრიკის ხალხთა ნამდვილ მისწრაფებებს და, ქმნის რა საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი დათმობის მოჩვენებითობას, სინამდვილეში არის ბრიერი მათი ნამდვილი დამოუკიდებლობის გზაზე.

კომუნისტმა დეპუტატმა ბალანჟემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფრიკის ხალხებს სურთ სრული და შეუზღუდველი დამოუკიდებლობა. აფრიკის ხალხებს მიაჩნიათ, თქვა მან, რომ თუ საქმე ეხება მათ ასოციაციას საფრანგეთთან, ასეთ ასოციაციას საფუძვლად უნდა ედოს მხოლოდ „სრული თანასწორობა, ნამდვილი სუვერენიტეტი, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებლობის უფლებას სრულიად შეუზღუდველად და უკანასკნელად, და ეს პოლიტიკა ვერ შეესაბამება ფინანსურ შანტაჟს, ეკონომიური სანქციების მუქარას“. უნდა შეწყდეს კოლონიური ბატონობის მასშტაბით აზროვნება, განაცხადა ორატორმა.

მთავრობის კანონპროექტის წინააღმდეგ — მაგრამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებიდან — გაელაშქრეს აგრეთვე მთელმა რიგმა მემარჯვენე დეპუტატებმა, მიაჩნდათ რა, რომ მას ახლანდელი შეზღუდული ფორმითაც კი შეუძლია შეასუსტოს საფრანგეთის პოზიციები აფრიკაში.

შეტანილი კანონპროექტის განხილვის შემდეგ მოეწყო კენჭისყრა. კანონპროექტს ხმა მისცა 280 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 174 დეპუტატმა. დანარჩენებმა თავი შეიკავეს.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ „დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა“ — პარტიის, რომელსაც თავისი წარმომადგენლები ჰყავს მთავრობაში, — საპარლამენტო ჯგუფის 102 წევრიდან მხოლოდ 21 კაცმა მისცა ხმა კანონპროექტს, დანარჩენებმა ან თავი შეიკავეს, ან ხმა მისცეს წინააღმდეგ.

საქართველო

საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ქვეჯგუფი

მოსკოვი. 13 მაისი. აქ შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „დინამოსა“ და კიშინოვის „მოლდოვას“ გუნდებს შორის. შეხვედრის შედეგია 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

ლენინგრადი. 13 მაისი. „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის ლიდერი მოსკოვის „ტორპედო“ ლენინგრადში შეხვედა ადგილობრივ „ზენიტს“. გიმმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 3:1.

ტალინი. 13 მაისი. ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი ტალინის „კალევი“ თავის მოედანზე თამაშობდა რიგის „დაუგავა — რეზ-ს“ გუნდთან. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ტაშკენტი. 13 მაისი. აქ ერთმანეთს შეხვდა „ა“ კლასის ორი დებიუტანტი — ხარკოვის „ავანგარდი“ და ტაშკენტის „პახტაკორი“. გიმმარჯვეს ტაშკენტელებმა 2 : 0.

მეორე ქვეჯგუფი

მოსკოვი. 13 მაისი. საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი მოსკოველი „სპარტაკი“ დღეს თამაშობდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ წინააღმდეგ. მატჩი მოიგეს სპარტაკელებმა ანგარიშით 2:1.

კიევი. 13 მაისი. მეორე ქვეჯგუფის ლიდერი არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი დღეს კიევში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს“. მატჩის შედეგია 2 : 0 კიელთა სასარგებლოდ.

ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა ტურნირი

გუშინ თბილისში დაიწყო ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატთა საკავშირო ტურნირი ჰადრაკში. მონაწილეობას იღებენ ლენინგრადის, სვერდლოვსკის, თბილისის, ბაკოს, ერევნის, კიშინიოვისა და კიროვაკანის წარმომადგენლები.

სულ მოეწყობა 14 ტური. ამ ტურნირში ოსტატები შეხვდებიან (ორ-ორ-ჯერ) მხოლოდ ოსტატობის კანდიდატებს. ოსტატობის კანდიდატ, რომელიც 14 შესაძლებლიდან 7.5 ქულას შეაგროვებს მიენიჭება ოსტატის წოდება.

თბილისიდან შეჯიბრებაში გამოდიან ოსტატი ა. ბუსლაევი და ოსტატობის კანდიდატები ა. ბლაგიძე, დ. ჯანოევი.

პირველ ტურში ოსტატმა ე. სტოლიარმა (ლენინგრადი) დაამარცხა დ. ჯანოევი, ოსტატმა დ. როვნერმა (ლენინგრადი) — ა. არუთინოვი (ბაკო). ა. ბუსლაევმა — შ. გიტერმანი (კიშინიოვი). ოსტატ გ. ბასტრიკოვისა (სვერდლოვსკი) და ოსტატობის კანდიდატ ლ. ლისტენგარტენის (ბაკო) პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადადო.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი

(1957 წლის გამოშვება)

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-3 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1960 წლის 8 მაისს ქ. მოსკოვში, მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
220106	1—50	200	226320	1—50	200	233752	1—50	200
220109	1—50	200	226412	1—50	200	233858	1—50	200
220160	1—50	200	226418	1—50	200	233871	1—50	500
220179	1—50	200	226526	1—50	200	233961	1—50	200
220244	1—50	200	226705	1—50	200	233985	1—50	200
220352	1—50	200	226709	1—50	200	234010	1—50	200
220464	1—50	200	226758	1—50	200	234243	33*)	1.000
220472	1—50	200	226782	1—50	200	234258	1—50	200
220547	50*)	1.000	226815	1—50	200	234423	50*)	1.000
220550	1—50	200	226931	1—50	200	234549	1—50	200
220636	49*)	1.000	227029	1—50	200	234575	1—50	200
220637	1—50	500	227106	1—50	200	234631	1—50	200
220652	28*)	1.000	227285	1—50	200	234812	1—50	200
220735	1—50	200	227361	1—50	200	234824	1—50	200
220815	1—50	200	227409	1—50	200	234872	1—50	200
220972	1—50	200	227836	1—50	200	234936	1—50	200
221007	45*)	1.000	227860	1—50	200	234997	1—50	200
221055	1—50	200	227886	1—50	200	235143	1—50	200
221183	1—50	200	227888	1—50	200	235196	1—50	200
221187	16*)	1.000	228102	09*)	1.000	235268	1—50	200
221212	1—50	200	228142	1—50	200	235319	1—50	200
221231	1—50	200	228243	40*)	1.000	235365	1—50	200
221293	1—50	200	228403	1—50	200	235399	1—50	200
221367	1—50	200	228492	1—50	200	235429	1—50	200
221654	1—50	200	228623	1—50	200	235463	1—50	200
221657	1—50	200	228668	1—50	200	235548	32*)	1.000
221702	1—50	200	229106	1—50	200	235638	1—50	200
221797	1—50	200	229153	1—50	200	235661	1—50	200
221828	1—50	200	229254	1—50	200	235863	1—50	200
221894	1—50	200	229293	1—50	200	235908	1—50	200
221906	1—50	200	229461	1—50	200	236036	1—50	200
222109	1—50	200	229517	1—50	200	236045	1—50	200
222230	1—50	200	229593	1—50	200	236129	1—50	200
222303	1—50	200	229656	1—50	200	236216	1—50	200
222335	1—50	200	229738	1—50	200	236353	1—50	200
222350	1—50	200	229763	1—50	200	236359	1—50	200
222410	1—50	200	229903	1—50	200	236365	1—50	200
222538	1—50	200	229980	1—50	200	236373	1—50	200
222596	1—50	200	230117	1—50	200	236429	1—50	200
222805	1—50	200	230203	27*)	1.000	236446	1—50	200
222940	1—50	200	230208	1—50	200	236519	1—50	200
223264	1—50	200	230259	1—50	200	236639	1—50	200
223433	1—50	200	230280	33*)	1.000	236803	1—50	200
223610	1—50	200	230324	1—50	200	236845	1—50	200
223705	1—50	200	230367	1—50	200	236914	1—50	200
223801	1—50	200	230610	1—50	200	236945	1—50	200
223817	1—50	200	230740	1—50	200	236976	1—50	200
223886	1—50	200	230919	1—50	200	237000	1—50	200
223922	1—50	200	230969	19*)	1.000	237180	1—50	200
223941	1—50	200	230986	1—50	200	237279	1—50	200
223959	1—50	200	230996	1—50	200	237455	1—50	200
224044	1—50	200	231081	17*)	1.000	237468	1—50	200
224121	1—50	200	231127	1—50	200	237585	1—50	200
224365	1—50	200	231181	1—50	200	237718	1—50	500
224366	1—50	200	231221	22*)	1.000	237728	1—50	200
224641	1—50	200	231345	1—50	200	237837	1—50	200
224670	1—50	200	231350	1—50	200	237852	1—50	200
224805	1—50	200	231408	1—50	200	237859	1—50	200
224894	1—50	200	231511	1—50	200	237964	1—50	200
224969	1—50	200	231612	1—50	200	238056	44*)	5.000
225008	1—50	500	231668	1—50	200	238079	1—50	200
225122	1—50	200	232130	1—50	200	238141	1—50	200
225173	1—50	500	232146	1—50	200	238188	1—50	200
225245	1—50	200	232237	1—50	200	238256	1—50	200
225363	1—50	200	232365	1—50	200	238361	1—50	200
225438	1—50	200	232478	1—50	200	238589	1—50	200
225649	1—50	200	232490	1—50	200	238592	1—50	200
225682	1—50	200	232645	1—50	200	238763	1—50	200
225713	1—50	200	232938	1—50	200	238767	1—50	200
225752	1—50	200	232953	1—50	200	238803	1—50	200
225753	1—50	200	232986	1—50	200	238946	1—50	200
225781	1—50	500	233057	38*)	1.000	239125	03*)	1.000
225870	1—50	200	233062	1—50	200	239143	17*)	1.000
225919	1—50	200	233085	31*)	5.000	239222	1—50	200
226001	1—50	200	233133	50*)	1.000	239278	1—50	200
226025	1—50	200	233159	1—50	200	239293	1—50	200
226155	1—50	200	233193	1—50	200	239417	1—50	200
226203	1—50	200	233259	49*)	1.000	239463	1—50	200
226261	1—50	200	233348	1—50	200	239465	1—50	200
226294	1—50	200	233479	1—50	200	239676	1—50	200

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია მოგება ასმანეთიან ობლიგაციებზე.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ტირაჟის ჩატარებელი კომისიის თავმჯდომარე — ქ. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების ძერჟინსკის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ი. ბოდუნოვი.**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ლ. ა. ვასილიევა.**

14 მაისი

თეატრები: ოპერისა და ბალეტის — კარმენი, **რუსთაველის სახელობის** — ჰამლეტი, **მარჯანიშვილის სახელობის** — კოლხეთის ცისკარი, **გრიბოედოვის სახელობის** — ირკუტსკის ისტორია, **მუსიკალური კომედიის** — ტრფობის ბადეში (რკინიგზელთა სახლში).

ტელევიზია: 18 30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — კინომოგზაურობა მსოფლიოს ქვეყნებში — „12 დღე უგრეთში“, 19.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი ნოველა „დედის ხელი“ (მაყურებელთა თხოვნით), 19.25 — ვილაპარაკოთ მუსიკალური გემოვნების შესახებ, 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები, 20.10 — ქართული მხატვრული ფილმი გიორგი საკაძე. (მეორე სერია მაყურებელთა თხოვნით), 21.40 — გადაცემა — „კინო და კომპოზიტორი“ (ი. დუნაევსკი).

რედაქტორი დ. მჟედლიშვილი.

ინგლისური პრესა გმოგს...

ლონდონი, 11 მაისი. (საკდესი) გაზეთი „დეილი ჰერალდი“ სარედაქციო სტატიაში მკვეთრად გმობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰერტერის ცინიკურ განცხადებას, რომ ამერიკის თვითმფრინავები განაგრძობენ საზვერავ ფრენას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. გაზეთი მოუწოდებს ინგლისის მთავრობას მისცეს პირობა ინგლისელ ხალხს, რომ არ დაუშვებს, ინგლისის ტერიტორია გამოიყენონ ბაზად ასეთი ფრენისათვის.

შეუძლია თუ არა ბ-ნ მაკმილანს, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, გვითხრას, რომ იცის ყველაფერი, რასაც ამერიკელები სჩადიან თავიანთ ბაზებზე ინგლისში, რომ იგი სრულ კონტროლს უწევს ყოველივე ამას, ისე, რომ ვერაფერს ვერ გაეკეთებენ ჩვენს ზურგს უკან, ჯაშუშებს შეეხება ეს, რაკეტებს, თუ ბომბებს?

მან აგრეთვე უნდა უთხრას ინგლისს, მოეთათბირა თუ არა მას ამერიკის მთავრობა, სანამ ბ-ნი ჰერტერი თავის ფანტასტიკურ განცხადებას გააკეთებდა...

ასეთი ჯაშუშური ფრენისათვის საჭიროა ბაზები ამერიკის ფარგლებს გარეთ. და თუ ბ-ნმა ჰერტერმა მკვეხარა განცხადება გააკეთა ისე, რომ ეს თავისი მოკავშირეებისათვის არ უკითხავს, ეს იმის საშიში დადასტურებაა, თუ რამდენად ნაკლებ ანგარიშს უწევენ მოკავშირეთა უფლებებს.

ბ-ნი ხრუშჩოვი ამაზე გვიპასუხებს, რომ აიკრძალოს ბაზებს. საიდანაც დაარღვევენ რუსეთის საჰაერო სივრცეს, და ჩვენი პატარა კუნძული შეიძლება კვამლად იქცეს.

ჩვენ ინდენად ბ-ნ ხრუშჩოვის მკვახე სიტყვები კი არ უნდა გვაწუხებდეს, რამდენადაც იმ ადამიანთა გაუფრთხილებელი მოქმედების შესაძლებლობა, რომელნიც ჯაშუშობისთვის გაგიჟებულან და რომელნიც, ისე რომ არაფერი უთქვამთ პრეზიდენტ ეიზენჰაუერისათვის ატომური ომის რისკს ეწევიან.

რამდენად შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ კიდევ ვინმე უგუნური არ გაფრინდება ინგლისიდან და თან არ წაიღებს ატომურ ბომბს?

ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დასავლეთის კავშირს კონტროლს უწევენ მოკავშირე ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეები და რომ ჩვენი საკუთარი ქვეყნის რაიონებს ჩვენვე ვუწევეთ კონტროლს.

ეს ჩვენთვის სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხებია, რომლებზეც ბ-ნმა მაკმილანმა დამაკმაყოფილებელი პასუხი უნდა მისცეს ხალხს.

ამერიკის მზვერავი თვითმფრინავების ფრენის განგრძობა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში, წერს დღეს მოწინავე სტატიაში გავლენიანი გაზეთი „გარდიანი“, „მეტისმეტად უპასუხისმგებლო და პროვოკაციული“ მოქმედება იქნება. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ თურქეთმა, პაკისტანმა, ნორვეგიამ, ინგლისმა, დასავლეთმა გერმანიამ და სხვა ქვეყნებმა, რომელთა ტერიტორიაზეც არის ამერიკის ბაზები, უნდა აკრძალონ ასეთი ფრენა ამ ბაზებიდან. „რაკი ერთხელ დანაშაულზე წასწერეს, — ნათქვამია სტატიაში, — ამერიკელები დაეინებით ვეღარ მოითხოვენ ამ ბაზების გამოყენებას არალეგალური გზით, ხოლო თუ მაინც მოითხოვეს, თავიანთი მოკავშირეების მხარდაჭერას არ უნდა მიელოდნენ“.

გაზეთი „გარდიანი“ აქვეყნებს თავისი ლონდონელი მკითხველის რიჩარდ ჰეინსის წერილს, რომელიც „მეტად სულელურს“ უწოდებს ამერიკის ხელისუფალთა მოქმედებას, რომლებმაც უმაღლესი თათბირის წინ საბჭოთა კავშირში გაგზავნეს მზვერავი თვითმფრინავი ჯაშუშობის მიზნით.

ამ წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „ამერიკელების მიერ გამოქვეყნებული განცხადება. რომ „ასეთი ფრენის ნებართვა არ ყოფილა მიცემული“, არა მარტო არ უქარწყლებს შიშს მთელი მსოფ